



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 727
29/10/2018

727-09-4-201810290954



ბრძანება

დაბა ხულოში, აღმაშენებლის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23. 11. 31. 054) საზოგადოებრივი ობიექტის (სტომატოლოგიური კლინიკა) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

2018 წლის 16 აგვისტოს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ქალაქ ბათუმში გენერალ ა. აბაშიძის ქუჩის 1 შესახვევი №19-ში მცხოვრებ ზურაბ ჯორბენაძის №7847/09 განცხადებაზე, რომელიც ეხება დაბა ხულოში აღმაშენებლის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23.11.31.054) საზოგადოებრივი ობიექტის (სტომატოლოგიური კლინიკა) მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემის მოთხოვნას.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 39-ე მუხლის, მე- X-ე, მე-XI-ე, მეXII-ე და მე-XV-ე თავებით მოთხოვნილ პირობებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს განმცხადებლის მოთხოვნა და გაცემული იქნას დაბა ხულოში, აღმაშენებლის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23. 11. 31. 054) საზოგადოებრივი ობიექტის (სტომატოლოგიური კლინიკა) მშენებლობის ნებართვა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61- ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-9 თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 39-ე მუხლის, მე-XI-ე თავის და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ანზორ ცეცხლაძის 2018 წლის 03 ოქტომბრის N2349-09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1) გაცემული იქნას დაბა ხულოში, აღმაშენებლის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 23. 11. 31. 054) საზოგადოებრივი ობიექტის (სტომატოლოგიური კლინიკა) მშენებლობის ნებართვა;
- 2) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტსა და სამუშაოების განხორციელების კალენდარულ გრაფიკში მოცემული ვადები;
- 3) მშენებლობის სანებართვო მოწმობაში გაწერილ იქნას შენობა-ნაგებობის კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები;
- 4) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 5) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურს (გ. დეკანაძე) უზრუნველყოს ბრძანების შესრულებაზე კონტროლი და მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურის განხორციელება;
- 6) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის ქუჩა N5) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 7) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვახტანგ ბერიძე

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა

